

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მარიამ ოზიაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	91	100

თარიღი: 9.12.2016





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის ___ დეკემბერი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - მარიამ ოზიაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **მარიამ ოზიაშვილი**.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 34 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, თსუ, 2013 წელი), სპეციალობით მუშაობს 12 წელია, კერძოდ:

- 2012 წლის თებერვალი - 2012 წლის სექტემბერი, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიუროს მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი (2012 წლის 2 მარტიდან მიმაგრებული იყო მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლად ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროში) - თბილისის საქალაქო სასამართლო;
- 2012 წლის სექტემბერი - 2017 წლის ივნისი, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2017 წლის ივნისი - 2017 წლის ივლისი, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მწერალ-თანაშემწე - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2017 წლის ივლისი - 2020 წლის ოქტომბერი, მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოსამართლის თანაშემწე) - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- 2020 წლის ოქტომბერი - 2023 წლის ოქტომბერი, მთავარი კონსულტანტი (მოსამართლის თანაშემწე) - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- 2023 წლის ოქტომბერი - 2024 წლის ოქტომბერი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს ძირითადად დადებითად ახასიათებენ, თუმცა გამოკითხულთაგან ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად მიუთითებს მისი აკადემიური მიღწევების განვითარების საჭიროებას. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად ასახელებს უოგიერთ შემთხვევაში მის მეტისმეტად მაღალ ცნობისმოყვარეობას და საქმის გარემოებების იმაზე მეტად და ღრმად შესწავლის

სურვილს, ვიდრე ამას შესაძლოა კონკრეტული საკითხი მოითხოვდეს. ასევე, მიუთითებს, რომ კანდიდატს ზოგჯერ გამოსავლის ძებნაში ახასიათებს პრობლემაზე ჩაციკვლა.

გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატ მარიამ ოზიაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საანგარიშო პერიოდში, კანდიდატი ოთხ შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ასევე - ერთ შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ მარიამ ოზიაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სტატია: „კანონის ცოდნის პრეზუმფცია ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში მონაწილე კერძო პირებთან მიმართებით“ - საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სამეცნიერო - პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ (N2(78)23.

მარიამ ოზიაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 79/17.
- რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 2.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - „სისხლის სამართალში - მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალი არ არის ძირითადი სპეციალიზაცია მაღალ დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მეტწილად ზუსტად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოებს/მოვალეობებს, იშვიათად უმჯობეს შეცდომებს. გონივრულ დროში შეუძლია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების ამოხსნა, ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შემოწმების შემდეგ, გონივრულ დროში იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. შესაფასებელმა პირმა საუკეთესოდ შეძლო პრიორიტეტების განსაზღვრა და წარმოაჩინა ძუძინი მზადყოფნა მაღალი დატვირთულობისთვის. იგი გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანია. ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორგანიზებულობის უნარი და თანამიმდევრულობა. *ადმინისტრაციულ სამართალში* - მარიამ ოზიაშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. შესაფასებელი პირი თავის გადაწყვეტილებებში არის სწრაფი და დამაჯერებელი. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სწორად, აზრობრივად ქრონოლოგიურად დალაგებულია. *სამოქალაქო სამართალში* - მარიამ ოზიაშვილს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მას იყენებს პრაქტიკაში საჭიროებისამებრ. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. დასაბუთებულია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით, საჭიროების შემთხვევაში. მსჯელობს ლოგიკურად, აზრს ნათლად და მკაფიოდ გადმოსცემს. არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. შეუძლია სამართლებრივი პრობლემის სწორად დანახვა, მასზე კონცენტრირება და გადაწყვეტა. შესაფასებელ პირს აქვს მაღალი კვალიფიკაცია და უნარი სამართლებრივი საკითხი გადაწყვიტოს დამოუკიდებლად.“

მარიამ ოზიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში: (მაგ: საგადასახადო სამართლის რიგი საკითხები - EU4justice, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020 წელი; სახელმწიფო პასუხისმგებლობა

- IRZ (გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი, 2019 წელი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაცია - USAID, PROLOG, EU4justice, 2019 წელი და ა.შ.).

მარიამ ოზიაშვილს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, მან ასევე გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვინი სასწავლო კურსი და ჩააბარა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

„საქართველოს იურისტთა უმაღლეს სკოლაში“ გაიარა სასწავლო კურსი, სანოტარო სამართალში. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის სასწავლო ცენტრში მონაწილეობდა და წარმატებით დაასრულა დისტანციური სწავლება ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი; ტრენინგ ცენტრში სამართლის აკადემიაში წარმატებით გაიარა საკონსტიტუციო სამართლის კურსი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს“, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან, სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ პრეზუმფციას, არ გამაჩნია, „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი, აქვს თავისი პოზიციის დაცვისა და საფუძვლიანად წარმოჩენის უნარი.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის გაწონასწორებული, მშვიდი, გონებაგასწილი ადამიანი, განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა შეუძლია კორექტულად, მოწინააღმდეგე აზრის ავტორის პატივისცემის დაცვით, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატის აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი სამსახურსა და საზოგადოებაში, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე – მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნევ, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი მარიამ ოზიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე – მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართლებით მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის სიღრმისეული ცოდნა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე **24 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს გამორჩეულად კარგად აქვს განვითარებული სამართლებრივი დასაბუთების უნარი, აქვს კომპეტენცია სწორი სამართლებრივი შეფასებებისთვის, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები გამოირჩევა დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით, რომელიც გამყარებულია სასამართლო პრაქტიკით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის

მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციის შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა - ზოგჯერ უშვებს პუნქტუაციურ შეცდომებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - მარიამ ოზიაშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. აქვს სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. შესწევს უნარი საქმის რთული გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. მარიამ ოზიაშვილს შესწევს უნარი საქმის გარემოებები, მიუხედავად საქმის სირთულის და მოცულობისა, სტრუქტურულად ჩამოაყალიბოს. მისი სამართლებრივი მსჯელობა არის გასაგები და ყურადღებას ამახვილებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე. მეტწილად ლაკონურად გადმოსცემს აზრს, შესწევს უნარი საქმის ვითარება ასევე, სამართლებრივი არგუმენტაცია საშუალო სირთულით გასაგებად გადმოსცეს ზეპირად. არ უჭირს კომუნიკაცია. შესწევს უნარი საქმის გარემოებები მასში არსებული პრობლემები ჩამოაყალიბოს სრულყოფილად, მშვიდად და თანმიმდევრულად. ამასთან ზეპირსიტყვიერად ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით. შეუძლია ლოგიკური მსჯელობა.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **19 ქულით (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის შრომისმოყვარე, თავმდაბალი, კომპეტენტური, გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალობით, მიზანდასახულია და მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის

მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა):**

კანდიდატს ახასიათებს თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის არაერთ პროგრამაში და შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **7 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. გამოქვეყნებული აქვს სტატია.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **3 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 91 ქულას.



ლევანი თევზაძე